ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,

სპორტისა და ტურიზმის კომისიის ანგარიში 2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 12 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (იანვარი - თებერვალი);

3. ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა 2024 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ (თებერვალი);

4. ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (თებერვალი - მარტი);

5. ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (თებერვალი-მარტი);

6. ა(ა)იპ „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-აპრილი);

7. ა(ა)იპ „კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობისა და 2024 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-აპრილი);

8. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი-აპრილი);

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მაისი-ივნისი)

10. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი ,,აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და ინფორმაციის მოსმენა ახალი სეზონისთვის მზადების შესახებ (მაისი-ივნისი);

11. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2023-2024 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (ივნისი-ივლისი);

12. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (წლის განმავლობაში);

13. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

14. 2024 წლის სპორტული შედეგების შეჯამებისა და კულტურული მიღწევების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა (დეკემბერი);

15. 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა (ნოემბერი-დეკემბერი);

16. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2024 წლის განმავლობაში განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის მიერ ჩატარებული არის 12 სხდომა, ყველა სხდომა იყო რიგითი განხილულია 17 საკითხი, ინფორმაციის სახით განხილულია 7 საკითხი, დაწერილია 1 ბრძანება და მოსმენილია 9 ანგარიში.